საქართველო
GEORGIA
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაცია
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL ADMINISTRATION

N 02/11946
03/08/2017

11946-02-2-201708031804

„ფაქტ-მეტრის“ რეგიონალურ ანალიტიკოსს
ქალბატონ **მანონი ბოკუჩავას**
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27
ტელ: 598 50 85 10

ქალბატონო მანონი,

მიმდინარე წლის 25 ივლისს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი N15999/02 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საჯარო ფორმით 2014 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 24 ივლისამდე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტიდან და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებიდან გათავისუფლებული პირების, გათავისუფლების სასამართლოს მიერ უკანონოდ მიჩნევის, აღდგენისა და შესაბამისი ანაღაურებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გაცნობებთ, რომ:

-2014 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სასამართლოს გადაწყვეტილებით არ განხორციელებულა განთავისუფლებული მოხელეების სამსახურში აღდგენა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან გათავისუფლებული პირების რაოდენობა, რომელბმაც მიმართეს სასამართლოს შეადგენს 9, აქედან 5 საქმეზე სასამართლოში მიმდინარეობს დავის განხილვა, ხოლო 4-ის მოთხოვნა სამსახურში აღდგენაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება რომლის საფუძველზეც განხორციელდებოდა თანხების ანაზღაურება.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებიდან გათავისუფლებული პირების რაოდენობა, რომელბმაც მიმართეს სასამართლოს შეადგენს 23, აქედან სასამართლოს გადაწვეტილებით სამსახურში აღდგენა დაუკმაყოფილდა 1 თანამშრომელს, ერთი თანამშრომლის მიმართ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება მისთვის კომპენსაციის გაცემის შესახებ, სამ თანამშრომელის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავა, 18 თანამშრომლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გათავისუფლების უკანონოდ მიჩნევასთან დაკავშირებით გაცემული თანხების ოდენობა შეადგენს 25860 ლარს, აქედან გაცემულია 15390 ლარი და გასაცემია 10470 ლარი.

- 2014 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში არ განხორციელებულა განთავისუფლებული მოხელეების სამსახურში აღდგენა ვინაიდან არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, შესაბამისად არ გაცემულა სასამართლოს

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 00 97; Fax: (+995 341) 22 47 74

გადაწყვეტილებით თანამდებობაზე აღდგენამდე, ამავე თანამდებობაზე მყოფი პირებისათვის შრომის ანაზღაურება (პრემია, დანამატი);

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სასამართლოს გადაწყვეტილებით თანამდებობაზე აღდგენამდე კომპენსაციის გაცემა არ განხორციელებულა, შესაბამისად თანხები ამ კუთხით არ გაცემულა, რაც შეეხება ამავე თანამდებობაზე მყოფი პირებისათვის შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული კუთხით გაცემულია 14830.37 ლარი;

- 2014 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში არ განხორციელებულა განთავისუფლებული მოხელეების სამსახურში აღდგენა ვინაიდან არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაბამისად, ამავე თანამდებობაზე მყოფი პირების მიმართ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ არ გამოცემულა.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურში აღდგენით მოვალეობას ახორციელებს მხოლოდ ერთი მოხელე, შესაბამისად, ამავე თანამდებობაზე მყოფი პირის მიმართ გაიცა შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის ბრძანება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

პატივისცემით,

ანა კაპანაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მ.შ.